

## სამართლებრივი მითითებებისა და ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთმიმართება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში

**ელა კუსიანი**

დოქტორანტი

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

### ანოტაცია

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელიც არსებობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას ითვლის დღემდე არ კარგავს აქტუალობას და მას დიდი ყურადღება ეთმობა როგორც საქართველოში, ისე მრავალ სხვა ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინსტიტუტი ინგლისში საერთო სამართლის წი-  
ალში წარმოიშვა, დღეს იგი სხვადასხვა ფორმით მსოფლიოს ბევრ, როგორც საერთო, ისე კონტინენ-  
ტური სამართლის ქვეყანაში მოქმედებს. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი წლების განმავლობაში განიცდის ევოლუციას, რათა იგი, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების ფორმა დაიხვეწოს, უპასუხოს თანამედროვე მოთხოვნებს და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენდეს დღევანდელ რეალობაშიც. წინამდებარე სტატიაში შევეცდები, გავა-  
ანალიზო რამდენად არის პრობლემა ნაფიცი მსაჯულებისათვის მოსამართლის მითითებების, ასევე, სასამართლო განხილვისას მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სწორად აღქმა და გაგება და საბოლოო ჯამში რა არის გადამწყვეტი ფაქტორი ნაფიცი მსაჯულებისათვის ვერდიქტის გამოტანისას. ესმით თუ არა მსაჯულებს მტკიცებულებები და რამდენად მოქმედებენ მოსამართლის მიერ მიცემული მითითებების ჩარჩოს ქვეშ – აღნიშნულ პრობლემებში წვდომა ფაქ-  
ტიურად გვაძლევს შესაძლებლობას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსსა და დანიშნულებაზე შევიქმნათ წარმოდგენა. სტატიაში მიმოხილულია უცხოური ლიტერატურა, ამერიკული კვლევები, რომელიც არსებობს ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, საქართველოში დღემდე დაგროვილი გამოცდილების გასაანალიზებლად შევეცადე გამეგო ქართველი ადვოკატების, პრო-  
კურორებისა და მოსამართლეების მოსაზრებები, რაც საშუალებას მოგვცემს მეტნაკლებად და-  
ვინახოთ საქართველოში მოქმედი ნაფიც მსაჯულთა სისტემის დღევანდელი სურათი.

**საკვანძო სიტყვები:** ნაფიცი მსაჯულები, მოსამართლის მითითებები, მტკიცებულებები

## სამართლებრივი მითითებებისა და ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთმიმართება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში

ელა კუსიანი

დოქტორანტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

### შესავალი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელიც არსებობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას ითვლის დღემდე არ კარგავს აქტუალობას და მას დიდი ყურადღება ეთმობა როგორც საქართველოში, ისე მრავალ სხვა ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინსტიტუტი ინგლისში საერთო სამართლის წიაღში წარმოიშვა, დღეს იგი სხვადასხვა ფორმით მსოფლიოს ბევრ, როგორც საერთო, ისე კონტინენტური სამართლის ქვეყანაში მოქმედებს (დოლიძე, 2013).

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი წლების განმავლობაში განიცდის ევოლუციას, რათა იგი, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების ფორმა დაიხვეწოს, უპასუხოს თანამედროვე მოთხოვნებს და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენდეს დღევანდელ რეალობაშიც.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის აღმავალი და დაღმავალი სვლა, ზოგიერთ შემთხვევაში კი მისი გაუქმება და ისევ განახლება მიუთითებს, რომ ის ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტია (ვიდმარი, ჰანსი, 2019).

წინამდებარე სტატიაში შევეცდები, გავაანალიზო რამდენად არის პრობლემა ნაფიცი მსაჯულებისათვის მოსამართლის მითითებების, ასევე, სასამართლო განხილვისას მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სწორად აღქმა და გაგება და საბოლოო ჯამში რა არის გადამწყვეტი ფაქტორი ნაფიცი მსაჯულებისათვის ვერდიქტის გამოტანისას. ესმით თუ არა მსაჯულებს მტკიცებულებები და რამდენად მოქმედებენ მოსამართლის მიერ მიცემული მითითებების ჩარჩოს ქვეშ – აღნიშნულ პრობლემებში წვდომა ფაქტიურად იძლევა შესაძლებლობას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსსა და დანიშნულებაზე შევიქმნათ წარმოდგენა. სტატიაში მიმოვიხილავ უცხოურ ლიტერატურას, ამერიკულ კვლევებს, რომელიც არსებობს ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, საქართველოში დღემდე დაგროვილი გამოცდილების გასაანალიზებლად შევეცადე გამეგო ქართველი ადვოკატების, პროკურორებისა და მოსამართლეების მოსაზრებები, რაც საშუალებას მოგვცემს მეტნაკლებად დავინახოთ საქართველოში მოქმედი ნაფიც მსაჯულთა სისტემის დღევანდელი სურათი.

რამდენად შეუძლიათ ნაფიც მსაჯულებს განახორციელონ ფაქტების დადგენის და ვერდიქტის გამოტანის მოვალეობა? ჩვეულებრივ სასამართლო განხილვის რა ეტაპზე იღებენ მსაჯულები გადაწყვეტილებას? უსმენენ კი ისინი ბოლომდე ყველა მტკიცებულებას? თუ ისინი აკეთებენ ინტუიციურ დასკვნებს როცა სასამართლო განხილვა ჯერ კიდევ მიმდინარეობს? ეყრდნობიან კი მსაჯულები იმ მტკიცებულებებს, რომელიც სასამართლოშია წარმოდგენილი? შესაძლოა ისინი უგულებელყოფენ მტკიცებულებებს და მოწმეებს, რომლებსაც არ ესმით? (Sherrod, 2019) რა დამოკიდებულება აქვთ ექსპერტთა დასკვნების მიმართ? რამდენად სწორად უსადაგებენ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს მტკიცებულებებს? აღნიშნულ კითხვებზე პასუხის ძიება ყოველთვის იყო პრობლემური ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მოქმედების მანძილზე.

გამოჩენილმა სამართლის პროფესორმა ადამ ბენფორადომ ახლახანს განაცხადა, რომ „ამერიკის სამართლის სისტემა დაფუძნებულია ადამიანის ქცევის არაზუსტ მოდელზე.“ იმდენად არაზუსტია ეს მოდელი, რომ დღევანდელი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იქნება „სასაცილო“ მომავალი თაობისათვის, როგორც შუა საუკუნეების ორდალებია დღეს ჩვენთვის. იმისათვის, რომ

გამოვასწოროთ ეს „ფუნდამენტური ხარვეზები“, ასკვნის ის, „ჩვენი მართლმსაჯულების სისტემის რეკონსტრუქცია უნდა მოხდეს მეცნიერულ ფაქტებზე დაყრდნობით“ (Sherrod, 2019).

## 1. ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებისათვის მტკიცებულებების მისადაგება;

საინტერესოა რა საქმიანობის შესრულებას მოითხოვს სამართლებრივი სისტემა ნაფიცი მსაჯულებისაგან? რა ფორმით მიეწოდება მტკიცებულებები ნაფიც მსაჯულებს და რა შეზღუდვები არსებობს მათი წარდგენისას? როგორ აანალიზებს და აჯერებს ჟიური ამ მტკიცებულებებს და როგორ გამოაქვს საბოლოო ვერდიქტი? (ვიდმარი, ჰანსი, 2019).

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კომპეტენტურობასა და ობიექტურობასთან დაკავშირებით ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში უამრავი ემპირიული კვლევა ჩატარდა, რომელმაც გაანალიზა როგორ მუშაობს ეს სისტემა და როგორ ახორციელებენ ნაფიცი მსაჯულები თავიანთ პასუხისმგებლობას (ვიდმარი, ჰანსი, 2019).

პოლიტიკის მკვლევარები ლანს ბენეტი და მარტა ფელდმანი (W. Lance Bennett & Martha Feldman, *Reconstructing Reality in the Courtroom: Justice and Judgement in American Culture 1981*) ვარაუდობენ, რომ ნაფიცი მსაჯულები სასამართლოზე წარმოთქმულ ჩვენებებს თავიანთი პირადი გამოცდილების საფუძველზე აღიქვამენ. ვერდიქტის გამოსატანად კი მათ უწევთ სხვადასხვა მოყოლილი ამბის გადასინჯვა, შემდეგ კი ეს ინფორმაცია უნდა შეაჯერონ სასამართლოზე წარმოდგენილ ყველაზე დამაჯერებელ მტკიცებულებასთან (ვიდმარი, ჰანსი, 2019).

ბენეტისა და ფელდმანის კვლევამ გამოავლინა, რომ დაწერილი კანონების გარდა მიღებული საზოგადოებრივი ნორმები, რომლის ჭრილობიც ნაფიცი მსაჯულები ხედავენ ამა თუ იმ ჩვენებას, განსაზღვრავს გამოტანილ ვერდიქტს (ვიდმარი, ჰანსი, 2019).

ბენეტისა და ფელდმანის ვარაუდი სოციალური ფსიქოლოგების ფართო კვლევამაც დაადასტურა: როდესაც ადამიანები ცდილობენ გაერკვენ სამყაროში მომხდარ მოვლენებში, ისინი ინტუიციურად იყენებენ თავიანთ მენტალურ სისტემებს, რომლებსაც ეძახიან „სქემებს“ ან „სცენარებს“. (Feigenson, 2000) ეს სისტემები კი წარმოიქმნება პირადი გამოცდილებიდან და იმ კულტურული გარემოდან, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. როდესაც ადამიანი კონკრეტულ ფაქტზე და მის შედეგებზე ფიქრობს, ის არსებული სქემების საფუძველზე საზღვრავს მათ. სწორედ მათ საფუძველზე განსჯის იყო თუ არა ფიზიკური და სოციალური მოვლენა ტიპური ან არანორმალური.

მაშინ, როდესაც საერთო სურათს აკლია ფაქტები, ადამიანები ცდილობენ მათ შევსებას სწორედ იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რასაც ისინი სამყაროს შესახებ ფლობენ. სხვადასხვა მენტალური სქემა განსხვავებულ სიუჟეტს ქმნის კონკრეტული შედეგის ასახსნელად, თუმცა ამ სიუჟეტებიდან ზოგიერთი უფრო მეტად დამაჯერებელი გამოდის (ვიდმარი, ჰანსი, 2019).

ჩვენებას, რომელიც არ ეხამება მსაჯულის შეხედულებებს მეტად სკეპტიკურად უყურებენ და ხშირად არც განიხილავენ ხოლმე მას, ვიდრე ისეთ ჩვენებას, რომელიც სხვა შემთხვევებში და ადამიანის ქცევაში ხშირად გამოვლენილია (Hastie & Dawes, 2001). თუ ნაფიც მსაჯულებს აქვთ წინასწარი შეხედულება კანონის შესახებ, რომელიც არ ეთავსება მოსამართლის მიერ გაცემულ მითითებას, ასეთ დროს, მათ უჭირთ მოსამართლის ინსტრუქციის გათვალისწინება (Smith, 1991, Finkel, 1995).

ჟიურის მსჯელობა და ვერდიქტის გამოტანა მხოლოდ ფაქტების მექანიკური მოკრება და ერთმანეთთან დაკავშირება არ არის. ადამიანთა ბუნების ფაქიზი მახასიათებლები და ნორმატიული ფასეულობები თავს იჩენს ფაქტების აღქმის დროს, იქნება ეს ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად. მოსამართლეები და ადვოკატები ხშირად ამტკიცებენ, რომ ნაფიცი მსაჯულების მოვალეობა მხოლოდ ფაქტების დადგენაა, თუმცა ყველამ იცის, რომ მსაჯულის მოვალეობის შესასრულებლად საჭიროა ფაქტების განხილვისას ღირებულებებიც გაითვალისწინონ. ჟიურის თათბირი საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა ერთმანეთთან სცადონ პოზიციების დაახლოება და საკუთარი ღირებულებების პრიზმაში შეაფასონ ფაქტები (ვიდმარი, ჰანსი, 2019).

მიუხედავად იმისა, რომ მსაჯულთა მიერ მიღებული ვერდიქტი, როგორც წესი, სამართლიანია, კითხვები კვლავ რჩება რთულ საქმეებთან დაკავშირებით, სადაც დიდი ადგილი ეთმობა ექსპერტუ-

ლი ცოდნის გამოკვლევას. ამიტომ ლოგიკური იქნება უფრო ღრმად მიმოვიხილოთ ექსპერტთა როლი ნაფიც მსაჯულთა პროცესებში (ვიდმარი, ჰანსი, 2019).

ჩვენ უნდა დავსვათ შემდეგი კითხვები: ესმით კი მსაჯულებს საექსპერტო დასკვნების არსი, დასაბუთებულად და დამოუკიდებლად უსადაგებენ მათ სადავო ფაქტობრივ გარემოებებს თუ ფაქტების დადგენის ფუნქციას მთლიანად ექსპერტებს უთმობენ? მსაჯულები მოწმე ექსპერტის გარეგნულ ნიშან-თვისებებს ეყრდნობიან თუ მისი ჩვენების სანდოობას ანალიზებენ? იბნევიან თუ არა მსაჯულები, როდესაც მხარეთა ექსპერტების ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგოა? (ვიდმარი, ჰანსი, 2019).

ძველმოდური იურიდიული გამონათქვამი ამბობს, რომ ექსპერტები საშუალო ადამიანის „თვალსაწიერს მიღმა“ არსებულ ცოდნას ფლობენ. მტკიცებულებათა შესახებ აშშ-ის ფედერალური წესების თანახმად, ექსპერტიზის წყაროდ ითვლება განათლება და გამოცდილება, ხოლო მოწმე ექსპერტს „მტკიცებულებათა გააზრებაში და სადავო საკითხის გადაწყვეტაში ფაქტების დადგენაზე პასუხისმგებელი პირების დახმარება“ მოეთხოვება (Federal Rule of Evidence 702). საექსპერტო დასკვნამ არ უნდა ჩაანაცვლოს ნაფიც მსაჯულთა როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მისი მიზანია ფაქტობრივი მტკიცებულებების გაგებასა და საქმის გადაწყვეტაში ნაფიც მსაჯულთა ხელშეწყობა (ვიდმარი, ჰანსი, 2019).

ნაფიცი მსაჯულები არ მოქმედებენ ავტონომიურ რეჟიმში. საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე წყვეტს რომელი საექსპერტო დასკვნის მოსმენის უფლება აქვთ მათ. ასეთი პროცედურული გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლე ეყრდნობა სამართლებრივ სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავს როდის და რა პირობებშია ექსპერტის ჩვენება დასაშვები. ეს სტანდარტები მოითხოვს, მოსამართლემ შესაფასოს კომპეტენტურია თუ არა ექსპერტი მოცემულ დარგში, რამდენად რელევანტურია მისი ჩვენება და დაეხმარება თუ არა ნაფიც მსაჯულებს. ექსპერტის ჩვენება მოსამართლემ შეიძლება საქმეზე არ დაუშვას თუ ზედმეტად მიუახლოვდება მსაჯულთა გადასაწყვეტ ძირითად სამართლებრივ საკითხებს. მაგალითად, გაუპატიურების საქმეში მოსამართლე უფლებას მისცემს ექსპერტს თქვას, რომ კვლევის ობიექტმა ცოტა ხნის წინ დაამყარა სქესობრივი კავშირი, ხოლო მის სხეულზე არსებული ნაიარევი და დაღურჯებები იძულებითი სექსის ნიშნებია. მოსამართლემ შესაძლოა ასევე ნება დართოს ექსპერტს განაცხადოს, რომ გაუპატიურების ფაქტის თავდაპირველი უარყოფა თავსებადია პოსტტრავმულ სინდრომთან. მაგრამ ექსპერტი ვერ იტყვის გაუპატიურებას ადგილი ჰქონდა თუ არა. ასეთი დასკვნა სცილდება მოწმის ექსპერტიზის ფარგლებს და მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციაა (Boeschen et al., 1998).

ენტონი შემპეინმა და დანიელ შუმანმა სხვა კოლეგებთან ერთად ჩაატარეს ამერიკელ ნაფიც მსაჯულთა გამოკითხვები და სხვა ტიპის კვლევები ექსპერტთა ჩვენებებზე მსაჯულთა რეაქციის შესასწავლად. გამოკითხულ მსაჯულთა უმეტესობა თანხმდებოდა, რომ საექსპერტო დასკვნა მათი საქმისთვის მნიშვნელოვანი იყო. მსაჯულები მხედველობაში იღებდნენ ექსპერტის უნარს, კომპლექსური ხასიათის ინფორმაცია მარტივად გადმოეცა, ექსპერტის სურვილს, თავისი დასკვნა ნათლად ეთქვა, ასევე ექსპერტის რეპუტაციას და კვალიფიკაციას. მკვლევარები დარწმუნდნენ, რომ „თეთრი ხალათის სინდრომს“ ადგილი არ ჰქონია. პირიქით მათ აღმოაჩინეს მომთხოვნი მსაჯულები, რომლებიც საექსპერტო დასკვნებს სკეპტიკურად უყურებდნენ: „ექსპერტების მიმართ მსაჯულების დამოკიდებულებას ისეთი კეთილგონივრული ფაქტორები განსაზღვრავდა, როგორებიცაა ექსპერტის კვალიფიკაცია, არგუმენტაცია, ფაქტობრივი ცოდნა და მიუკერძოებლობა. კვლევის შედეგები უპირისპირდება კრიტიკოსების მცდელობას, მსაჯულები წარმოაჩინონ მიმნდობ, გულუბრყვილო ან უგულისყურო ადამიანებად, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებისას ირაციონალურ, ზედაპირულ შეხედულებებზე დამყარებულ სტრატეგიებს მიმართავენ (Schuman and Champagne, 1997).

ნაფიც მსაჯულთა კრიტიკოსები მსაჯულების ექსპერტების მიმართ დამოკიდებულებას აკრიტიკებენ ცალკეულ შემთხვევებზე დაყრდნობით, როცა მოსამართლემ მსაჯულებს არ გაუიწია სათანადო ინსტრუქტაჟი, რის გამოც მსაჯულებმა ექსპერტის ჩვენებას სხვა მტკიცებულებებზე მეტი წონა მიანიჭეს. ასევე, როცა მსაჯულებმა თავი ვერ გაართვეს ექსპერტთა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებში გარკვევას და როცა მათზე გავლენა მოახდინა ექსპერტთა ჯვარედინმა დაკითხვამ.

ცალკეული შემთხვევების საპირისპიროდ მთელი რიგი სამეცნიერო კვლევები სისტემატურად აჩვენებს, რომ მსაჯულები გულმოდგინედ და სკეპტიკურად უდგებიან ექსპერტების ჩვენებებს (ვიდმარი, ჰანსი, 2019).

როგორც ამერიკაში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს ნაფიცი მსაჯულები არც ისე გულუბრყვილოები არიან და საკმაოდ კარგად ერკვევიან მტკიცებულებებში, მათ შორის ექსპერტის დასკვნებში, მით უმეტეს თუ მათ მოსამართლე აძლევს ადეკვატურ მითითებებს.

ვიზიარებ მოსაზრებას, რომ შესაძლებელია უკეთესი შედეგის მიღწევა. გულმოდგინე მოსამართლეების მეთვალყურეობის ქვეშ, ადვოკატების და მათი თხოვნით მოწვეული ექსპერტების მიერ სასამართლოზე მტკიცებულებების უკეთესმა წარდგენამ შეიძლება აღმოფხვრას ზოგიერთი სირთულე. სხვა ტიპის რეფორმები, როგორებიცაა ნაფიცი მსაჯულებისათვის ჩანაწერების გაკეთების, კითხვების დასმის უფლების მინიჭება, არის ასევე სასარგებლო (ვიდმარი, ჰანსი, 2019).

საბოლოო ჯამში, მსაჯულები რამდენად კარგად გაიგებენ მტკიცებულებებს დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად სწორ და ადეკვატურ ინსტრუქტაჟს მიიღებენ ისინი მოსამართლისაგან. ასევე ბევრი რამ არის დამოკიდებული მხარეთა პროფესიანალიზმზეც. მათაც ასევე წარმატებით შეუძლიათ მტკიცებულებათა ეფექტური წარდგენით სასამართლო სხდომაზე დახმარება გაუწიონ მსაჯულებს, შესავალ და დასკვნით სიტყვაში მათ თვითონ განუმარტონ კანონი და ა.შ.

## 2. ნაფიც მსაჯულთა მიერ მოსამართლის მითითებების გაგების პრობლემა;

ვინაიდან ქართველი ნაფიცი მსაჯულების მიერ მოსამართლეთა მითითებების გაგების უნარზე კვლევა არ ჩატარებულა, მიმოვიხილავ ამერიკულ კვლევებს, რომლებიც მრავლად არსებობს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. შედეგები არაერთგვაროვანია. ზოგიერთ შემთხვევაში მსაჯულები ადეკვატურად აღიქვამენ კანონს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – ვერა და შესაბამისად დაბნეულობას აქვს ადგილი. ერთ-ერთ პრობლემას ნამდვილად წარმოადგენს ის, რომ სასამართლო წესები გადატვირთულია ტექნიკური ჟარგონით, რომელთა მნიშვნელობაც ხშირად ძალიან დიდია ერთი შეხედვით უმნიშვნელო სამართლებრივი განსხვავებების აღმოსაჩენად. როგორც პროფესორი პეტერ ტიერსი აღნიშნავს, ზოგიერთი მითითება შეიცავს ისეთ სიტყვებს, რომლებიც შეუძლებელია იურიდიული განათლების არმქონე პირმა იცოდეს, მაგ.: სამართლებრივი სტატუსის გაუქმება, საქმიდან ამოღება, ფაქტთან დაკავშირებული გარემოებები, რომლებიც სადავო საკითხის არსს წარმოადგენს და ა.შ. გარდა ასეთი სპეციალიზებული ლექსიკონის გამოყენებისა, ხშირად სამართლებრივი მითითებები ისეთი ჩახლართული ენით არის გადმოცემული, რომ მათი გაგება უადრესად რთულია (ვიდმარი, ჰანსი, 2019). ჩვეულებრივ მოსამართლის ინსტრუქციები არის გრძელი, მულტიფრაზული, რთული წინადადებები. სავსე სიტყვებით, რომელიც აღქმადია მხოლოდ იურისტებისათვის და არა ჩვეულებრივი ადამიანებისათვის (ვიდმარი, ჰანსი, 2019).

ნაფიცმა მსაჯულებმა შესაძლოა, ასევე მიიღონ შემზღულავი ინსტრუქციები, მაშინ როცა მტკიცებულება წარმოდგენილია ერთი მიზნით და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა მიზნით (Lieberman & Sales). ყველაზე გავრცელებული ფორმა სასამართლოზე ბრალდებულის წარსული ნასამართლეობის შესახებ ცნობების წარდგენაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირის კრიმინალური წარსულის შესახებ ცნობები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მსაჯულების მხრიდან მისი ჩვენებების მართებულობის შესაფასებლად, მის მიერ დანაშაულის ჩადენის მოტივისა თუ შესაძლებლობების მტკიცებულებად. თუმცა ნაფიც მსაჯულებს, როგორც წესი, ეძლევათ ინსტრუქტაჟი, რომ არ მიაქციონ ასეთ მტკიცებულებებს ყურადღება ბრალდებულის განსჯის პროცესში და არ აღიქვან ეს ფაქტი იმის მტკიცებულებად, რომ ბრალდებულის კრიმინალური წარსული და ცუდი ქცევისადმი ტენდენციური დამოკიდებულება აუცილებლად იქონიებდა გავლენას მიმდინარე საქმეზე. კვლევები ადასტურებს, რომ ამ ინსტრუქტაჟის დაცვა ნაფიცი მსაჯულებისათვის არც თუ ისე იოლია. ვალერი ჰანსისა და ანტონი დუბის ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ზოგ შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულები დაემორჩილნენ მოსამართლის მიერ მიცემულ ინსტრუქციებს, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ის მსაჯულები, რომლებმაც იცოდნენ ბრალდებულის კრიმინალური წარსულის შესახებ, უფრო მეტჯერ ადგენდნენ მის ბრალეულობას მიმდინარე საქმეში, ვიდრე ისინი, ვინც ამის შესახებ არაფერი იცოდა (Hans & Doob, 1976).

აღნიშნული კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ მსაჯულები არ და ვერ მიჰყვებიან ინსტრუქციებს მართებულად. ისინი არიან გადაწყვეტილებისარასრულფასოვანი მიმღებები.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ბირთვი არის ნაფიც მსაჯულთა წინაშე მტკიცებულებათა ისეთი ფორმით პრეზენტაცია, რომ მათ შეძლონ ფაქტების დამდგენის როლის შესრულება და გამოიტანონ

სამართლიანი ვერდიქტი. აღნიშნული მოითხოვს ორი ძირითადი ამოცანის შესრულებას ორივე მხარისაგან – ადვოკატისა და მოსამართლისაგან. პირველი, ადვოკატებმა უნდა წარმოადგინონ თითოეული მხარის ფაქტები საკმარისად ნათლად მსაჯულებისათვის, რათა ისინი ჩასწვდნენ საქმეს და განსაზღვრონ პასუხისმგებლობა. და მეორე, მოსამართლემ საკმარისად მარტივად უნდა აუხსნას გამოსაყენებელი კანონი მსაჯულებს, რათა მათ განსაზღვრონ სავარაუდო სამართალდარღვევის ბუნება და სასჯელი (Sherrod, 2019).

მტკიცებულებები უფრო დამაჯერებელია, როდესაც ისინი წარმოდგენილია ამბის სახით, ვიდრე არათანმიმდევრული მოწმეთა ჩვენებების ან პუნქტების ჩამონათვალის სახით. იმისათვის, რომ ისტორია იყოს დამაჯერებელი ის უნდა შეიცავდეს გარკვეული ტიპის ინფორმაციას: პირველი, მტკიცებულებებს, რომელიც იძლევა მოვლენების ნათელ ახსნას; მეორე, მსოფლიო ცოდნას (world knowledge), ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას მტკიცებულებთან მიმართებით; და მესამე, ცოდნა იმისა, როგორ ხდება ამბების კონსტრუირება, თავისი დასაწყისით, შუა ნაწილითა და დასასრულით. ამ სამი ელემენტით მსაჯულებს შეუძლიათ ააგონ დამაკმაყოფილებელი ისტორია იმის შესახებ თუ რა მოხდა საქმეზე, რასაც მივყავართ ვერდიქტამდე (Sherrod, 2019).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნაფიც მსაჯულთა უცნაური და არაპროგნოზირებადი ვერდიქტები უფრო ხშირად არის ადვოკატების მხრიდან ფაქტების გაუგებარი პრეზენტაციის და მოსამართლეთა დამაბნეველი ინსტრუქციების შედეგი (Sherrod, 2019).

რაც შეეხება საქართველოს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე საქმის არსებითი განხილვის დაწყებისას საქმის წარმოების შესახებ (სასამართლო პროცესის მოკლე მიმოხილვა) აძლევს ნაფიც მსაჯულებს წინასწარ განმარტებებს. უპირველეს ყოვლისა მოსამართლე განმარტავს, რომ „ბრალდების მხარეში“ იგულისხმება პროკურორი, ხოლო „დაცვის მხარეში“ – ბრალდებული და მისი ადვოკატი. ამის შემდეგ მოსამართლე განმარტავს, რომ მტკიცებულება, რომელიც „დაშვებულ“ ან „მიღებულ“ იქნა მოსამართლის მიერ განდება საქმის განხილვის ნაწილი და რაც მთავარია, დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებების გათვალისწინება შესაძლებელია საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას. მსაჯულებს განემარტებათ მტკიცების ტვირთის არსი და რომ პროკურორი ვალდებულია მოიპოვოს გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებები. მოსამართლე უხსნის მსაჯულებს მათ მოქალაქეობრივ ვალს და რომ მათ უნდა გადაწყვიტონ ბრალდებულის ბედი. ამის შემდეგ, მსაჯულები ისმენენ საქმის მოკლე ფაბულას, ქმედების აღწერას, რომლის ჩაღწევაშიც ედება პირს ბრალი და დანაშაულის კვალიფიკაციას. მოსამართლე უმარტავს მსაჯულებს, რომ ბრალდების შესახებ დადგენილება და მასში მოცემული განცხადებები არ არის მტკიცებულება. ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ამტკიცოს ბრალდების შესახებ დადგენილებაში წამოყენებული ბრალდებები. რადგან ბრალდებული არ აღიარებს დანაშაულს მსაჯულებმა უნდა ივარაუდონ მისი უდანაშაულობა. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზში დახმარების მიზნით მოსამართლე განიხილავს იმ დანაშაულის ელემენტებს, რომლის ჩაღწევაშიც ბრალი ედება პირს. მაგ., როცა პირს ბრალად ედება 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა – განზრახ მკვლელობა. მოსამართლე განმარტავს როდის ითვლება დანაშაული განზრახ ჩადენილად. რას ნიშნავს პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვა. რას ნიშნავს გაუფრთხილებლობა. გაუფრთხილებლობის სახეები. ასევე მოსამართლე განმარტავს, რომ პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა თუ იგი მოქმედებდა მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხავ გარემოებებში. მიმოიხილავს აუცილებელ მოგერიებას, უკიდურეს აუცილებლობას, დამნაშავის შეპყრობას, მართლზომიერ რისკს. ასევე ბრალის გამომრიცხავ გარემოებებს: შეურაცხაობა ასაკის გამო, შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო, ბრძანების ან განკარგულების შესრულება, შეცდომა. ამის შემდეგ მოსამართლე აღწერს სასამართლო პროცესის თანმიმდევრობას. მოსამართლე განმარტავს, რომ პირველად მხარეები გამოდიან შესავალი სიტყვებით და რომ შესავალი სიტყვა არ არის მტკიცებულება. ის არის იმ მტკიცებულებების გაცნობა, რომლის წარმოდგენასაც მხარეები სასამართლო პროცესზე აპირებენ. შესავალი სიტყვების შემდეგ იწყება მტკიცებულებების გამოკვლევა, თუმცა დაცვის მხარეს მტკიცების ტვირთიდან გამომდინარე არ აქვს ვალდებულება რომ მტკიცებულებები წარმოადგინოს. მოსამართლე განმარტავს, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულება არის ისეთი მტკიცებულება, რომელიც მსაჯულებს მყარად დაარწმუნებს ბრალდებულის ბრალეულობაში. მოსამართლე გააცნობს მსაჯულებს პროტესტის გაცხადების პროცედურას და აფრთხილებს, რომ თუ მხარის პროტესტი არ

დააკმაყოფილა მსაჯულებმა მხედველობაში არ უნდა მიიღონ გაპროტესტებული შეკითხვა და მასზე პასუხი. მსაჯულებს ეცნობებათ, რომ შესაძლოა, მოსამართლემ მხარეებთან ერთად ცალკე მოითათბიროს მტკიცებულებებთან და პროცედურებთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მსაჯულებისგან რამის დამალვა სურთ. მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ მხარეებს უფლება აქვთ წამოადგინონ თავისი საქმის მხარდამჭერი არგუმენტები – დასკვნითი სიტყვა ანუ მხარეთა თეორიები თუ რა დასკვნების გამოტანაა შესაძლებელი მტკიცებულებებიდან. მოსამართლე განმარტავს რა არის ირიბი მტკიცებულება, ნივთიერი მტკიცებულება, უდანაშაულობის პრეზუმფცია. ამის შემდეგ მოსამართლე გადადის მსაჯულებისათვის მათი უფლებების განმარტებაზე. მათ უფლება აქვთ მიიღონ მოსამართლისაგან განმარტება გამოსაყენებელი კანონის თაობაზე. უფლება აქვთ მიიღონ დამატებითი განმარტებები მოწმეთაგან საქმის გარემოებების შესახებ, მხარეთაგან დასკვნითი სიტყვების შესახებ. მსაჯულებს უფლება აქვთ დაწერონ რა შეკითხვებიც გაუჩნდებათ საქმის განხილვისას და მიაწოდონ მოსამართლეს, რომელიც შემდეგ კითხულობს მათ შეკითხვებს. მსაჯულებს კანონის შესახებ განმარტებების მოთხოვნის უფლება აქვთ თათბირის დროსაც. უფლებების გაცნობის შემდეგ მოსამართლე განუმარტავს მსაჯულებს მათ მოვალეობებს. მაგალითად, იმას რომ სხდომის ფარგლებს გარეთ არ უნდა მოიპოვონ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაცია, არ უნდა დაარღვიონ თათბირის საიდუმლოება და ა.შ.

როგორც ვხედავთ, საქართველოში მოსამართლის მითითებებში მეორდება და ერთი და იგივეა ის, რაც სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილიდან არის გადმოტანილი. მაგ., განზრახვის და გაუფრთხილებლობის სახეები, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებები. იცვლება მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობა და საქმის ფაბულა. როდესაც მხარეებს გადაეცემათ განმარტებები მათ აქვთ უფლება შენიშვნებით მიმართონ სასამართლოს, მაგრამ სასამართლოს შეუძლია ან გაითვალისწინოს მათი შენიშვნები ან არა.

### 3. ქართველი პრაქტიკოსი იურისტების მოსაზრებები ნაფიც მსაჯულთა მიერ მტკიცებულებათა და სასამართლო ინსტრუქციების გაგების უნარზე;

ჩემს მიერ ჩატარებული მცირე კვლევის ფარგლებში 2019 წლის დეკემბერსა და 2020 წლის იანვარში გამოვკითხე 11 ადვოკატი, 2 პროკურორი და ერთიც მოსამართლე, რომელთაც აქვთ ნაფიც მსაჯულთა სამართლო განხილვაში მონაწილეობა მიღებული.

ქართველი პრაქტიკოსი იურისტები კითხვაზე – „**თუ გქონიათ პრაქტიკაში შემთხვევა, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა ვერ გაიგეს მოსამართლის განმარტებები საქმესთან დაკავშირებით? განსაკუთრებით რისი გაგება უჭირთ ნაფიც მსაჯულებს? თვლით თუ არა, რომ სასამართლოს ინსტრუქციები საჭიროებს დახვეწას და რა კუთხით?**“ – არაერთგვაროვნად პასუხობენ:

„კი მქონია შემთხვევა. მაგალითად, როდესაც მოსამართლე უმარტავს, რომ ისინი ვალდებული არიან მიიღონ გადაწყვეტილება, შეასრულონ კანონის იმპერატიული მოთხოვნა. მსაჯულები ამას ვერ იგებენ, ვერ ხვდებიან რატომ არიან ვალდებული. უჭირთ იურიდიულ ტერმინოლოგიის გააზრება, ასევე ვერ ხვდებიან, რას ნიშნავს, რომ უნდა ამტკიცოს ბრალდების მხარემ, მაშინ ადვოკატი რას აკეთებს და ა.შ.“ (ინტერვიუ ადვოკატ ა.კ.-სთან, 2020).

„ჩემს პრაქტიკაში ნაფიც მსაჯულებს ყველაზე მეტად გაუჭირდათ მტკიცების ტვირთის არსში ჩაწვდომა და ძირითადი სამუშაოს გაწევა სწორედ ამ მიმართულებით მიწევს. კარგი იქნება თუ სასამართლოს ინსტრუქციები არ იქნება მხოლოდ კანონის ნორმები, სასურველი იქნება თუ მასში იქნება ასახული ნორმის განმარტებები არაიურისტისათვის გასაგებ ენაზე.“ (ინტერვიუ ადვოკატ გ.ს.-სთან, 2020).

„დიახ, მქონია, ეს იყო მტკიცების ტვირთი და უდანაშაულობის პრეზუმფციის არსი. სასამართლოს მიერ გაკეთებული ინსტრუქციების შემდგომ მხარეებს აქვთ უფლება დაუსვან კითხვები მსაჯულებს. მაგ: „გთხოვთ, აწიოთ ხელი ვინ არ ეთანხმება იმას, რომ თუ პირს ბრალდება წარედგინა მან რაღაც მაინც დააშავა და ისე არ მოხვდებოდა სასამართლოში.“ (ინტერვიუ ადვოკატ გ. ტ.-სთან, 2020).

„მიუხედავად ნაფიც მსაჯულების არასამართლებრივი განათლებისა, შერჩეულ კანდიტატებს, რომლებიც ასევე შერჩეულნი იქნებიან აზროვნების ხარისხის გათვალისწინებითაც, არ უჭირთ ბევრ შემთხვევაში მოსამართლის განმარტებების არსებითი გაგება. მხარეებს უფლება აქვთ მისცენ რეკომენდაციები უფრო მეტად განმარტებების გახალხურებისათვის, მაგრამ განზრახვის ფორმების

ხალხურად გადმოცემა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ მაინც ამ მიმართულებით მცდელობა ცუდი არ იქნებოდა.“ (ინტერვიუ ადვოკატ გ.გ.-თან, 2020).

„ნაფიც მსაჯულთა განმარტებები ძირითადად შემოიფარგლება კანონიდან ამონარიდით, რაც მეტ-ნაკლებად ძნელი გასაანალიზებელია უბრალო მოქალაქის მიერ, რომელსაც არ გააჩნია იურიდიული განათლება. მიმაჩნია რომ განმარტებები უნდა გაკეთდეს მოქალაქისათვის გასაგები ტერმინებით, რათა მათთვის ბუნდოვანი არ დარჩეს მნიშვნელოვანი საკითხები.“ (ინტერვიუ ადვოკატ დ.ს.-თან).

„მსაჯულებს უჭირთ მოსამართლის განმარტებების გაგება. ვერ აცნობიერებენ რა არის მტკიცებულება, რა არის დაუშვებელი მტკიცებულება, რატომ არ უნდა გაიზიარონ დაუშვებელი მტკიცებულება, რა არის მტკიცებულებათა შეუთანხმებლობა. უჭირთ იურიდიული ტერმინოლოგიის აღქმა.“ (ინტერვიუ ადვოკატ ი.ბ.-თან, 2020).

„მოსამართლის განმარტებები არის მხოლოდ კანონიდან ამონარიდი და არ არის შედგენილი მსაჯულისათვის გასაგებ ენაზე. ამ კუთხით დიდი სამუშაოა ჩასატარებელი.“ (ინტერვიუ ადვოკატ პ.გ.-სთან, 2020).

„მხარეებს აქვთ შესაძლებლობა ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციებში შეიტანონ მათთვის სასურველი განმარტებები გამოსაყენებელი კანონის თაობაზე. მხარეს შეუძლია შესავალ და დასკვნით სიტყვაში თვითონაც განუმარტოს კანონი. საქმესთან დაკავშირებით სხვა განმარტებებს ვერც გააკეთებს სასამართლო.“ (ინტერვიუ ადვოკატ პ.მ.-თან, 2020).

„მსავსი შემთხვევა პრაქტიკაში არ მქონია, მაშინ როცა ვსაუბრობთ კანონისმიერ განმარტებებზე, ბუნებრივია, მოლოდინი, რომ შესაძლოა არაიურისტისათვის რაიმე იყოს გაურკვეველი, თუმცა განმარტებებთან დაკავშირებით კითხვის არსებობის პირობებში მსაჯულებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, რაც ჩემ პრაქტიკაში არ ყოფილა, შესაბამისად მიმაჩნია არსებული განმარტებები სრულ შესაბამისობაშია, კანონმდებლის როგორც მიზანთან ასევე სრულად ორიენტირებულია შედეგზე, იყოს გასაგები მსაჯულთათვის.“ (ინტერვიუ პროკურორ ლ. ბ.-სთან, 2020).

„ასეთი შემთხვევა არ მახსენდება, მითუმეტეს საკანონმდებლო დონეზე სასამართლო ნაფიც მსაჯულთა კანდიდატებს, ჯერ კიდევ სანამ მოხდება მათი შერჩევა, მოკლედ უმარტავს ყველაზე მნიშვნელოვან გარემოებებს, ამის შემდგომ უკვე არსებით სხდომაზე შესავალი სიტყვის წინ დეტალურ წერილობით განმარტებას აძლევს ყველა მნიშვნელოვან გარემოებასთან დაკავშირებით, პერიოდულად მტკიცებულებათა გამოკვლევისას, მოთხოვნის შემთხვევაში განმარტავს გარკვეულ გარემოებებს მსაჯულთათვის და ასევე წერილობით განმარტებას აძლევს დასკვნითი სიტყვის შემდგომ. გარდა ამისა საპროცესო კოდექსის მიხედვით სასამართლო ვალდებულია განმარტებები მისცეს გამოსაყენებელი კანონის თაობაზეც მას შემდეგ რაც, მსაჯულები სათათბირო ოთახში გავლენ გადაწყვეტილების მისაღებად. აქედან გამომდინარე საკანონმდებლო რეგულაციის დონეზე, სასამართლო მუდმივადაა ჩართული ნაფიც მსაჯულთათვის შესაძლო ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად.“ (ინტერვიუ პროკურორ თ. ნ.-სთან, 2020).

„ჩემს გამოცდილებაში ვერ ვიტყვოდი, რომ მსაჯულებს ჰქონდათ განმარტებების გაგების პრობლემა, უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში მათ უფრო სრულყოფილად აინტერესებდათ სამართლებრივი საკითხები, ვიდრე ეს იყო საქმესთან კავშირში. ძირითადად პროლემურად მაინც მეჩვენება სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის დებულებების განმარტების გააზრება და ინსტრუქციები რაც შეიძლება მარტივი ენით უნდა დაიწეროს.“ (ინტერვიუ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მ.მ.-სთან).

როგორც ვხედავთ, მოსამართლის მითითებების გამარტივება-გახალხურება (მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხით უკვე ბევრი სამუშაოა ჩატარებული) არასოდეს იქნება ზედმეტი. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მნიშვნელოვანია სასამართლო განხილვის ყოველ ეტაპზე მოსამართლის აქტიური ჩართულობა გამოსაყენებელ კანონთან დაკავშირებით ნებისმიერი ბუნდოვნების აღმოსაფხვრელად. ასევე, ცხადია ისიც, რომ მსაჯულებს შესაძლოა ჰქონდეთ იურიდიული ტერმინოლოგიის გაგების პრობლემა, თუმცა ამ ხარვეზის აღმოფხვრა დამოკიდებულია მხარეთა უნარ-ჩვევებზე როგორც მსაჯულთა შერჩევის ეტაპზე, ისე საქმის არსებითი განხილვისას და მოსამართლის პროფესიანალიზმზე თუ როგორ წარმართავს სხდომას და რამდენად კარგ კომუნიკაციას დაამყარებს მსაჯულებთან.

კითხვაზე – „თქვენს პრაქტიკაში თუ გქონიათ შემთხვევა, როცა ნაფიც მსაჯულებს ჰქონდათ მტკიცებულებების გაგების პრობლემა, განსაკუთრებით ექსპერტის დასკვნების? თქვენი აზრით, რამდენად სწორად აფასებენ ნაფიცი მსაჯულები საქმეში არსებულ მტკიცებულებებს უტყუარობის, რელევანტურობის და საკმარისობის კუთხით?“ – ქართველი იურისტები შემდეგნაირად პასუხობენ:

„მოსამართლის ინსტრუქციებია მნიშვნელოვანი. მაგალითად, რომელია მტკიცებულება და რომელი არა. ან ვალდებულება არსებობს თუ არა ამა თუ იმ მტკიცებულების გაზიარების. ასევე, იმისათვის რომ ნაფიცმა მსაჯულებმა სწორად შეაფასონ მტკიცებულები უნდა ესმოდეთ მტკიცებულების უტყუარობა, რელევანტურობა რას ნიშნავს ასევე გონივრულ ეჭვს მიდმასტანდარტი. აღნიშნულზე წლების მანძილზე იმუშავეს ამერიკელმა ექსპერტებმა ჩვენთან ერთად. ძალზედ ბევრი იმიტირებული სხდომა და ტრენინგი ჩატარდა.“ (ინტერვიუ ადვოკატ გ.ტ.-თან, 2020).

„მსაჯულები ყველა მტკიცებულებას აფასებენ, ხსენებული სტანდარტებით, ობიექტური დამკვირვებლის თვალთახედიდან, რაშიც რა თქმა უნდა ეხმარებიან მხარეებიც და სასამართლოც, მაგრამ გადაწყვეტილებას მაინც იღებენ მიზანშეწონილობის და სამართლიანობის გათვალისწინებით.“ (ინტერვიუ ადვოკატ გ.გ.-თან, 2020).

„ნაფიც მსაჯულს არ მოეთხოვება ექსპერტის დასკვნის უტყუარობის შეფასება, ამ შეფასებას თუ დაიწყებს ნაფიცი მსაჯული იქ უკვე ამ ინსტიტუტის მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ დადგება. პრაქტიკიდან გამომდინარე, მსაჯულს ექსპერტიზის დასკვნის უტყუარობას თავად მხარე უხსნის, იმთვალსაზრისით, რა თვალსაზრისითაც მხარისთვის არის ის მომგებიანი. აქ უნდა გააგებინოს მხარემ მსაჯულს დასკვნის შინაარსი.“ (ინტერვიუ ადვოკატ ღ. ს.-თან, 2020).

„მსაჯულები მტკიცებულებებს აფასებენ მხოლოდ ვიზუალურად. მაგ., არის გვამი ეკრანზე. აღნიშნული უკვე უარყოფითად მოქმედებს საქმეზე. შემთხვევის ადგილზე გადაღებულ სურათს, სისხლიან იარაღს გაცილებით დიდი გავლენა აქვთ მსაჯულებზე, ვიდრე ადვოკატის საუბარს. ექსპერტის დასკვნებს ვერ იგებენ. მაგ., ექსპერტმა თქვა, რომ ბიოლოგიური მასალა, ანაბეჭდები არ ამოსულა დანაშაულის იარაღიდან, ეს იწვევს მსაჯულის დაბნეულობას, ვერ წყვეტენ გაგონილი უფრო მნიშვნელოვანია თუ სპეციალისტის დასკვნა. ყოფილა შემთხვევაც, რომ ექსპერტის ნათქვამი საერთოდ არ გაუზიარებიათ.“ (ინტერვიუ ადვოკატ ი.ბ.-სთან, 2020).

„მსაჯულებს უჭირთ ექსპერტის ტერმინოლოგიის გაგება. მაგ., რა არის დაქტილოსკოპიური კვლევა. ამასთან, მსაჯულებში არსებობს ასეთი მიდგომა: თუ მცოდნე კაცმა თქვა ე.ი. ეს სარწმუნოა, ან მაგ., თუ პროკურორი ამბობს ე.ი. ეს სიმართლეა.“ (ინტერვიუ ადვოკატ პ.გ.-სთან, 2020).

„გამომდინარე იქიდან, რომ მსაჯულების ვერდიქტს არ ასაბუთებენ და ის არ არის ცნობილი არავისთვის, რთულია პასუხის გაცემა იმაზე, თუ რაზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებას, ამასთან ყველა საქმე ინდვიდუალურია და მტკიცებულებებიც განსხვავებული. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მსაჯულები მეტწილად ეყრდნობიან მხოლოდ სამართლიანობის პრინციპს და გადაწყვეტილებასაც იღებენ იმის მიხედვით, ვის მიმართ უფრო სამართლიანია კანონი.“ (ინტერვიუ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მ.მ.-სთან, 2020).

„რთულია ისაუბრო მტკიცებულებათა გაგების პრობლემაზე, მაშინ როცა მსაჯულები ვერდიქტს არ ასაბუთებენ, თათბირი საიღუმლოა და ხშირად მხარეებისთვის უცნობია, რომელ მტკიცებულებაზე დაყრდნობით იღებენ ამათუიმ გადაწყვეტილებას. რაც შეეხება არსებულ პრაქტიკას პროცესზე ცხადი და ამკარად გამოხატული გაურკვევლობა ექსპერტიზის დასკვნებთან დაკავშირებით პრაქტიკაში არ მქონია.“ (ინტერვიუ პროკურორ ლ.ბ.-სთან, 2020).

„ექსპერტიზის დასკვნა, თუ ის ექსპერტის მიერ სპეციალური ტერმინოლოგიით იქნება განმარტებული, მისი აღქმა მხარეებსაც გაუჭირდებათ. სწორედ ამიტომ, მხარეს უფლება აქვს შეხვდეს თავის მოწმეს, მათ შორის ექსპერტს და აუხსნას მას, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესზე ისაუბროს საყოფაცხოვრებო, მარტივად აღქმადი და გასააზრებელი ფორმით. ამასთან, ნაფიც მსაჯულებსაც აქვთ შესაძლებლობა მხარეთა შეკითხვების შემდგომ ნებისმიერ მოწმეს შეკითხვა დაუსვან მათთვის ბუნდოვან საკითხთან დაკავშირებით და მოწმე ვალდებულია დეტალურად, მათთვის გასაგებად მიაწოდოს ინფორმაცია. შესაბამისად საბოლოო ჯამში ეს პრობლემა ნაკლებად დგას დღის წესრიგში.“ (ინტერვიუ პროკურორ თ. ნ.-სთან, 2020).

როგორც ვხედავთ, პრაქტიკოს იურისტებს უჭირთ პასუხის გაცემა, რამდენად სწორად იგებენ მსაჯულები მტკიცებულებებს, ვინაიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ვერდიქტს არ ასაბუთებს და შესაბამისად, იმის გარკვევაც თუ რა დააფუძნეს თავიანთი გადაწყვეტილება შეუძლებელია. ადვოკატების ნაწილი თვლის, რომ მსაჯულებს უჭირთ ექსპერტის ტერმინოლოგიის გაგება, მტკიცებულებებს აფასებენ ზედაპირულად. თუმცა ბევრი რამ არის დამოკიდებულ იმაზე თუ მსაჯულთა რა კონტიგენტს შეარჩევნ მხარეები და ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსაჯულები გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობენ მიზანშეწონილობისა და სამართლიანობის პრინციპით. ვერდიქტიც გამოაქვთ იმის მიხედვით თუ ვის მიმართ უფრო სამართლიანია კანონი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსსკ-ის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრება შეიძლება სხდომის თავმჯდომარის მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილების ეჭვქვეშ დაყენების საფუძვლით. სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილით გამამტყუნებელი განაჩენი შესაძლოა გასაჩივრდეს მათ შორის იმ შემთხვევაში თუ სხდომის თავმჯდომარემ მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, თუ სხდომის თავმჯდომარემ დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი, სხდომის თავმჯდომარემ სათათბირო ოთახში გასვლის წინ განმარტებების მიცემისას არსებითი შეცდომა დაუშვა და სხვა. აღნიშნული სამართლებრივი ბერკეტი წარმოადგენს ერთგვარ სამართლებრივი კონტროლის მექანიზმს მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

საინტერესოა უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი განაჩენების გასაჩივრების შესახებ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილული 46 საქმიდან სააპელაციო სასამართლოებში საკასაციო წესით გასაჩივრდა 24 საქმე. განხილული 23 საქმიდან (ერთი საქმის განხილვა ამ ეტაპზე ედასრულებული არ არის) დაუშვებლად იქნა ცნობილი 10 საქმე, დატოვებულია განუხილველად 2 საქმე, განაჩენი დატოვებულია უცვლელად 10 საქმეზე, განაჩენი გაუქმდა სასჯელის დანიშვნის ნაწილში და დაუბრუნდა სასამართლოს სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის 1 საქმეზე. (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/nafici-msajulebis-mier-ganxiluli-saqmeebis-statistika.pdf>)

## დასკვნა

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი გამუდმებით განიცდის მწვავე და მრავალმხრივ კრიტიკას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტიკა ნაფიც მსაჯულთა წინააღმდეგ არის ის, რომ ისინი ვერ აცნობიერებენ თავიანთ სამოქალაქო მოვალეობას და ვერ იგებენ მითითებებს, რომელსაც მოსამართლე აძლევთ. (Mavrantonis, 2016) სასამართლოს ინსტრუქციები არის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვების ძირითადი ელემენტი. მოსამართლე მსაჯულებს აძლევს მითითებებს რელევანტური კანონის შესახებ მტკიცებულებების მოსმენამდე, მოსმენის შემდეგ, ასევე საქმის განხილვის მიმდინარეობისას. სასამართლო ინსტრუქციების ფუნდამენტური მნიშვნელობიდან გამომდინარე არსებობს დიდი ემპირიული ლიტერატურა (ამერიკული კვლევები), რომელიც ძირითადად კონცენტრირებულია სამ ძირითად კითხვაზე: რამდენად კარგად ესმით მსაჯულებს ინსტრუქციები? შესაძლოა თუ არა მსაჯულთა მიერ სასამართლო ინსტრუქციების აღქმის უნარი გაუმჯობესდეს სტანდარტული ინსტრუქციების მოდიფიცირებით? რა გავლენა აქვს სასამართლოს მითითებებს მსაჯულებსა და მათ ქცევაზე? (Devine, 2012).

სამწუხაროდ ამერიკული კვლევები ცხადჰყოფს, რომ ბევრ მსაჯულს უჭირს მოსამართლის ინსტრუქციების გაგება. მსაჯულები ვერ იგებენ ინსტრუქციებს ისე კარგად და ადეკვატურად, როგორც თავად ფიქრობენ, ან როგორც მოსამართლეები ისურვებდნენ, რომ მსაჯულებს ადექვატ მითითებები ან როგორც საზოგადოება იმედოვნებს, რომ მსაჯულებს შესწევთ უნარი გაეკრვნენ მოსამართლის მითითებებში. (Devine, 2012).

სასამართლო მითითებების მოდიფიკაცია მოიცავს ინსტრუქციებიდან სამართლებრივი ჟარგონის ამოღებას, წინადადებების კომპლექსური სტრუქტურის გამარტივებას, ლოგიკისათვის სიცხადის მინიჭებას. კვლევებმა დაადასტურა, რომ მსგავსი ცვლილებები იძლევა შესამჩნევ გაუმჯობესებას. (Devine, 2012).

ისტორიულად ცნობილია, რომ სასამართლოები მაინცდამაინც მოწადინებულები არ იყვნენ მოეხდინათ იმ გზების იდენტიფიცირება, რომელიც დაენმარებოდა მსაჯულებს უკეთ შე-

ესრულებინათ თავიანთი სამუშაო. დიდი ხანი ვარაუდობდნენ, რომ კომპეტენტურ ზრდასრულ ადამიანს არ სჭირდებოდა რამე სპეციალური დახმარება, რომ მისაღები მსაჯული ყოფილიყო. დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი შეიცვალა 1980-იან წლებში, როცა გაიზარდა შეუსაბამობა სამართლებრივი სისტემის მიმართ მოლოდინებსა და მსაჯულთა მიერ რეალურად განხორციელებულ სამუშაოს შორის. ამ დროიდან მოყოლებული მრავალფეროვანი რეფორმის მექანიზმები იქნა შემოთავაზებული, რათა გაუმჯობესებინათ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის მუშაობა. ყველაზე ადრეული პროცედურული მექანიზმები, რომელთა იდენტიფიცირებაც მოხდა იყო: მსაჯულებისათვის უფლების მიცემა გაეკეთებინათ ჩანაწერები, დაესვათ შეკითხვები, მსაჯულთა წინასწარი ინსტრუქტირება მტკიცებულებების მოსმენამდე, ინსტრუქციების გამარტივება, ინსტრუქციების წერილობითი ფორმით დარიგება მსაჯულებისათვის, მტკიცებულებათა შემაჯამებელი სიის გადაცემა და სხდომის ოქმის გაცნობა მსაჯულებისათვის, უფრო მოგვიანებით კი მსაჯულებს მისცეს უფლება თათბირამდე ერთმანეთს შორის განეხილათ საქმე (Devine, 2012).

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ თავიანთი ფუნქციის სათანადოდ შესრულება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მხარეთა უნარ-ჩვევებზე. დავიწყოთ იქიდან, რომ შერჩევის პროცესის დროს მხარეთა მიერ ხდება მსაჯულთა იმ კანდიდატების იდენტიფიცირება, რომელთაც უნდა იკისრონ პირის დამნაშავეობა-უდანაშაულობის საკითხის გადაწყვეტის პასუხისმგებლობა. შემდგომში უკვე საქმის არსებითი განხილვისას დაცვისა და ბრალდების მხარემ ისე უნდა წარმოადგინონ მტკიცებულებები (ისევე როგორც შესავალი და დასკვნითი სიტყვები), რომ მსაჯულებისათვის ადვილად აღქმადი იყოს. უდიდესი როლი აკისრია მოსამართლეს, რომლის ვალდებულებაცაა საქმის მსვლელობის ყოველ ეტაპზე უზრუნველყოს მსაჯულები სამართლებრივი ინსტრუქტაჟით. მოახდინოს მსაჯულებისათვის გაუგებარი საკითხების იდენტიფიცირება და მათთვის სათანადო განმარტებების მიცემა.

ამერიკაში (სადაც უდიდესი პრაქტიკა არსებობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მუშაობის) ჩატარებული კვლევის შედეგებისა და საქართველოში დაგროვებული გამოცდილების (რომლის გაანალიზებაშიც დამეხმარა ქართველ იურისტთა მოსაზრებები ნაფიც მსაჯულთა სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ) გათვალისწინებით რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ თავიანთი მოვალეობის ეფექტურად შესრულების მიზნით აუცილებელია:

1. უპირველყოვლისა ყურადღება მიექცეს მხარეთა პროფესიანალიზმსა და უნარ-ჩვევებს, ვინაიდან სწორედ მხარეებზეა დამოკიდებული როგორ იქნება საქმე წარმოდგენილი მსაჯულების წინაშე, რამდენად იქნება მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი ხორცშესხმული;
2. ვეთანხმები ადვოკატთა ასოციაციის რეკომენდაციას, რომ მხარეთა მიერ საქმის პრეზენტაციის ხარისხს გაზრდის თუ ისინი გამოიყენებენ მტკიცებულებათა გამოკვლევის ისეთ ეფექტიან მექანიზმებს, როგორიცაა: თვალსაჩინოებები, დოკუმენტური მტკიცებულების გამოკვლევა მოწმის დახმარებით, და „აუცილებელი“ და „არააუცილებელი“ მოწმეთა სიის წინასწარი მომზადება.
3. ასევე, მხარეებმა მცდელობა არ უნდა დაიშურონ რომ შეამცირონ საქმეზე გამოსაკვლევი მტკიცებულებები და გამოსაკითხი მოწმეები ოპტიმალურ მინიმუმამდე. ასეთ შემთხვევაში, თუკი პროცესის მონაწილე მხარე მისი ოპონენტის მოწმეთა სიის დუბლირებას გააკეთებს, აღნიშნული მაინც ვერ გააჭიანურებს პროცესს.
4. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლე იყოს აქტიური მთელი პროცესის განმავლობაში, რადგან როგორც კვლევებიც ცხადყოფს, სწორედ მოსამართლის მიერ საჭირო დროს გაკეთებული განმარტებები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მსაჯულთა მიერ მტკიცებულებათა ადეკვატურად აღქმის უნარს. რაც მთავარია, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ დაცული იქნეს მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რათა უსამართლოდ არ მოხდეს რომელიმე მხარის უფლებრივი შეზღუდვა თუნდაც შუამდგომლობის ან პროტესტის დაუკმაყოფილებლობით.
5. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის მითითებები მრავალგზის დამუშავდა და დაიხვეწა, როგორც ქართველ იურისტთა უმეტესობა მიიჩნევს არ იქნებოდა ურიგო თუ კვლავ გადაიდგმებოდა ნაბიჯები სასამართლო მითითებების გამარტივებისათვის, რაც კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს მსაჯულების აღქმის უნარის გაუმჯობესებას და სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას.

## გამოყენებული ლიტერატურა

- დოლიძე, ა. (2013). ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში და მისი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა“ (რედ.) კ. კორკელია.
- ვიდმარი, ნ., ჰანსი, ვ. პ., (2019). ამერიკელი ნაფიცი მსაჯულები ვერდიქტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Abramson, J. (New York: Basic Books, 1994), *We the Jury: The Jury System and Ideal of Democracy*.  
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/nafici-msajulebis-mier-ganxiluli-saqmeebis-statistika.pdf>
- Benforado, A. (New York: Crown, 2015). *Unfair: The New Science of Criminal Justice* Adam Benforado, “Flawed Humans, Flawed Justice,” *New York Times*, June 13, 2015; Adam Benforado, (Atlantic, June 6, 2015) “Reasonable Doubts about the Jury System.”
- Boesch, L. E., Sales, B. D., & Koss, M. P. (1998). Rape trauma experts in the courtroom. *Psychology, Public Policy, and Law*, 4(4), 414.
- Devine, Dennis J., (2012). *Jury Decision Making*.  
 Federal Rule of Evidence 702.
- Landsman, S. (2002). “Appellate Courts and Civil Juries,” *University of Cincinnati Law Review* 70.
- Mavrantonis George C., (2016) *Jury System in Modern Rational Law: Is the Jury System an Absurd Institution whose only claim to Legitimacy is its Achaic Root?* *Gray’s Inn Student Law Journal*, volume VIII.
- Neal Feigenson, (Washington, DC:APA Books, 2000) *Legal Blame: How Jurors Think and Talk about Accidents* 2nd and 3rd chapters.
- Sherrod Drury, R., (2019). *The Jury Crisis What’s wrong with Jury Trials and how we can save them?* Rowman & Littlefield.
- Lieberman & Sales, *What Social Science Teaches Us*.
- Reid Hastie & Robyn M. Dawes, (2001). *Rational Choice in an Uncertain World: The Psychology of Judgement and Decision Making*.
- Smith, V. (1991). Prototypes in the Courtroom: Lay Representation of legal concepts, *61 Journal of Personality & Social Psychology* 857; Norman J. Finkel, (1995), *Commonsense Justice: Jurors’ Notions of the Law*.
- Shuman, D. W., & Champagne, A. (1997). Removing the people from the legal process: The rhetoric and research on judicial selection and juries. *Psychology, Public Policy, and Law*, 24(2), 255.
- Valerie P. Hans & Anthony N. Doob, (1976), Section 12 of Canada Evidence Act and the deliberations of Simulated Juries, *18 Criminal Law Quarterly* 235.
- ინტერვიუ პროკურორ ლ. ბ.-სთან.
- ინტერვიუ პროკურორ თ. ნ.-სთან.
- ინტერვიუ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მ.მ.-სთან.
- ინტერვიუ ადვოკატ ა.კ.-სთან.
- ინტერვიუ ადვოკატ გ.ს.-სთან.
- ინტერვიუ ადვოკატ გ. ტ.-სთან.
- ინტერვიუ ადვოკატ გ.გ.-სთან.
- ინტერვიუ ადვოკატ დ.ს.-სთან.
- ინტერვიუ ადვოკატ ი.ბ.-სთან.
- ინტერვიუ ადვოკატ პ.გ.-სთან.
- ინტერვიუ ადვოკატ პ.მ.-სთან.
- ინტერვიუ ადვოკატ დ. ს.-სთან.